



ელექტრომომარაგების დისპეტჩერი

პროფესიული სტანდარტი

სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2018 წელი

1. დასახელება (ქართულად):

ელექტრომომარაგების დისპეტჩერი

2. დასახელება (ინგლისურად):

Electricity supply dispatcher

3. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:

4. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით: 8161 (8212, 3113)

5. დასაქმების სფეროს აღწერა:

ელექტრომომარაგების დისპეტჩერის პროფესია არის ინჟინერიის (ენერგეტიკა და ელექტრო ინჟინერია) მიმართულება, რომელიც მოიცავს კომპანიის მართვა-გამგებლობაში მყოფი ელექტრონული ქსელის სადღეღამისო ოპერატიულ-დისპეტჩერულ და რეჟიმულ მართვას. ელექტრომომარაგების დისპეტჩერის ფუნქციაა კომპანიის მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის მიწოდება ყველაზე საიმედო სქემით, ოპერატიული გადართვების სწორად შესრულება, სწორი ტექნიკური ექსპლუატაციის წარმოება და მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნა. ასდევ, ხელმძღვანელობის განკარგულებების/მითითებების შესრულება და დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით სადღეღამისო მორიგეობის წარმოება.

6. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:

ელექტრომომარაგების დისპეტჩერის სამუშაო გარემოს წარმოადგენს ოფისი. სტანდარტული ოთახი აღჭურვილი ტელეფონებით, კომპიუტერებით, ელექტრონული და ბეჭდური სქემებით და რუკებით. ელექტრომომარაგების დისპეტჩერი შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ელექტრო სისტემაში, თელასში, ენერგო -პრო ჯორჯიაში, საქართველოს რკინიგზაში და სხვადასხვა ორგანიზაციებში, სადაც არის ელექტრომომარაგების დისპეტჩერის თანამდებობა. გამორიცხულია თვითდასაქმება.

7. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:

კანონმდებლობით არ არის დადგენილი.

8. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1.	სამუშაოს ორგანიზება	1.1. ეცნობა ორგანიზაციის სტრუქტურასა და საკუთარ უფლება-მოვალეობებს; 1.2. აანალიზებს სამუშაო სქემებს; 1.3. ამუშავებს ინფორმაციას ობიექტის შესახებ; 1.4. ეცნობა შესასრულებელ სამუშაოებს; 1.5. აწარმოებს კომუნიკაციას ანალიტიკურ/ტექნიკურ სამსახურთან.

2.	სქემების მომზადება	<p>2.1 ამზადებს სქემებს გეგმიური სამუშაოების დროს;</p> <p>2.2 ამზადებს სქემებს ავარიის დროს;</p> <p>2.3 ამზადებს სქემებს ფორსმაჟორული სიტუაციების დროს;</p> <p>2.4 შეაქვს ცვლილებები სქემებში რეჟიმური პარამეტრების გათვალისწინებით;</p> <p>2.5 უზრუნველყოფს პირველადი კომუტაციის სქემების შესაბამისობას ფიქსირებულ სქემებთან.</p>
3.	ელექტრული ქსელის ოპერატიულ - დისპეჩერული მართვა	<p>3.1. აწარმოებს გადართვებს;</p> <p>3.2. აწარმოებს ჩანაწერებს ოპერატიულ ჟურნალში;</p> <p>3.3. უზრუნველყოფს ელექტროდანადგარების და ელექტრომოწყობილობების ექსპლუატაციაში შეყვანას;</p> <p>3.4. ახორციელებს შესრულებული გადართვების მონიტორინგს;</p> <p>3.5. უზრუნველყოფს ქსელში არსებული ელექტროსადგურების მონიტორინგს;</p> <p>3.6. აწარმოებს ოპერატიულ მოლაპარაკებებს.</p>
4.	ძაბვის პარამეტრების დაცვა	<p>4.1. მართავს პარამეტრებს მაღალი/დაბალი ძაბვის დროს;</p> <p>4.2. არეგულირებს დატვირთვის პარამეტრებს კონკრეტულ კვანძებში;</p> <p>4.3. აწვდის შესაბამის სამსახურს ინფორმაციას პარამეტრების ცვლილებასთან დაკავშირებით;</p> <p>4.4. ახორციელებს პარამეტრების მონიტორინგს;</p> <p>4.5. შეაქვს მონაცემები ოპერატიულ ჟურნალში.</p>
5.	ტესტირების ჩატარება	<p>5.1. მართავს სქემებს სატესტო სამუშაოებისთვის ;</p> <p>5.2. უზრუნველყოფს ტესტირების დასრულების შემდეგ ხაზების ფიქსირებულ სქემაზე დაბრუნებას;</p> <p>5.3. ახორციელებს სადგურებში და ქვესადგურებში ელექტრომოწყობილობების ტესტირებას;</p> <p>5.4. შეაქვს სატესტო სამუშაოების მონაცემები ოპერატიულ ჟურნალში.</p>
6.	უსაფრთხოების ნორმების დაცვა	<p>6.1. იცავს უსაფრთხოების ნორმებს;</p> <p>6.2. უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო დახმარებას</p> <p>6.3. უზრუნველყოფს ოპერატიული პერსონალის უსაფრთხოდ მუშაობას;</p> <p>6.4. გადის ინსტრუქტაჟს სამუშაოს დაწყების წინ;</p>

		6.5. იცავს პირად და სამუშაო ადგილის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.
7.	პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა	7.1. აფასებს საკუთარ კომპეტენციებს, ცოდნასა და უნარებს; 7.2. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას; 7.3. ეცნობა პროფესიულ სიახლეებს; 7.4. მონაწილეობს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში (კონფერენციებში, ტრენინგ-კურსებში და სხვა).

9. პიროვნული თვისებები:

- ორგანიზებულობა
- პასუხისმგებლიანობა
- კომუნიკაბელურობა
- ყურადღებიანობა
- მობილიზებულობა
- დაკვირვებულობა

10. მატერიალური რესურსი

ა) ინვენტარი აღჭურვილობა

- საკომუნიკაციო საშუალებები;
- ტელეფონი;
- კომპიუტერი;
- ელ.სქემები;
- რუკები.

11. სამომავლო ტენდენციები:

- ელექტრომომარაგების სისტემაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

12. პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	სამუშაოს ორგანიზება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს შრომის კოდექსი • სამუშაოზე დაშვების წესები • შიდა საწარმოო ინსტრუქციები • საწარმოო სტრუქტურა • საკუთარი უფლება-მოვალეობები ორგანიზაციაში 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნების გათვალისწინება • ხელშეკრულებაში საკუთარი მონაცემების შევსება

		<ul style="list-style-type: none"> • თანამდებობრივი ინსტრუქცია • პირობითი გრაფიკული აღნიშვნები • ტექნიკური ტერმინოლოგია • სქემების წაკითხვის წესი • ელემენტარული მათემატიკა • ელექტრობის საფუძვლები • ელექტრონული სქემების სახეები: სტრუქტურული, ფუნქციონალური, პრინციპული, შეერთების, ჩართვის, საერთო და განლაგების • ოპერატიული სქემების, აღრიცხვისა და ანგარიშების ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავების მეთოდები • ინფორმაციის მოპოვების გზები • ინფორმაციის დამუშავების მეთოდები • ინფორმაციის დახარისხების ხერხები • დროის ეფექტურად გამოყენების მეთოდები • სამუშაოს თანამიმდევრობის განსაზღვრის ხერხები • შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის განსაზღვრის ხერხი • ეფექტური კომუნიკაციის წესები • სამუშაოს აღწერის წესები 	<ul style="list-style-type: none"> • ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენება • გარკვეული მათემატიკური გაანგარიშება • ელექტრული სქემის წაკითხვა • სქემების ანალიზი • ობიექტის შესახებ ინფორმაციის მოძიება • მოძიებული ინფორმაციის დამუშავება • მიღებული ინფორმაციის სწორად გამოყენება • პრიორიტეტების გამოკვეთა • დროის ეფექტურად გამოყენება • შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების მიზნობრივად გამოყენება • დასწრების ჟურნალით სარგებლობა • ჩანაწერების წარმოება • სამუშაოს დალაგება თანამიმდევრობით • შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის განსაზღვრა • ეფექტური კომუნიკაციის წარმართვა • უკუკავშირის დამყარება • სახელმწიფო ენაზე გამართული კომუნიკაცია • ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მიმოწერისა და ზოგადად კომუნიკაციისთვის • დავალებების მიღება • ტექნიკურ/ანალიტიკურ სამსახურთან კომუნიკაციის დამყარება
2.	სქემების მომზადება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • გეგმიური განაცხადის მნიშვნელობა • მოწყობილობების შეკეთებაში ჩაყენების თანამიმდევრობა • სქემაზე დატანილი ინფორმაციის მნიშვნელობა 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • გეგმიური განაცხადის მნიშვნელობის განმარტება • შესაკეთებელი მოწყობილობების სქემის მომზადება • სარეზერვო კვებაზე მომხმარებლის გადაყვანა • დანადგარების ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრა

- სარეზერვო კვებაზე მომხმარებლის გადაყვანის ხერხები
- ტექნიკური ექსპლუატაციის წესები
- ავარიული გამორთვების განაცხადის მნიშვნელობა
- ავარიული განაცხადის შემთხვევაში შეკვეთის ნებართვის გაცემის პერიოდი
- დანადგარების ტექნიკური მახასიათებლები
- დანადგარების შემოწმების მეთოდები
- ტექნიკური უსაფრთხოების წესები/ინსტრუქციები
- ელექტროდანადგარების და მოწყობილობების უსაფრთხო და საიმედო მუშაობის პრინციპები
- ავარიის მიზეზის დადგენის ხერხები
- ავარიის დროს სქემის მომზადების სპეციფიკა
- მოწყობილობების სარელეო დაცვის მოქმედების პრინციპი
- ფორსმაჟორული სიტუაციების ტიპები
- შესაძლო რისკები და საფრთხეები
- შესაძლო რისკების და საფრთხეების გამომწვევი მიზეზები
- უბედური შემთხვევებისა და რისკებისაგან თავის არიდების გზები
- პრობლემურ სიტუაციაში ინფორმაციის გადაცემის წესი
- შესაძლო პრობლემების პრევენციის გზები
- რეჟიმული პარამეტრის არსი და მნიშვნელობა
- რეჟიმული პარამეტრები
- რეჟიმული პარამეტრების რეგულირების წესები

- დანადგარების ვიზუალური და ტექნიკური შემოწმება
- დანადგარზე ავარიული სიტუაციის აღმოჩენის შემთხვევაში სწრაფი რეაგირება
- ავარიული სიტუაციის შეფასება
- ავარიის მიზეზის დადგენა
- ავარიის დროს შესაბამისი სქემის მომზადება
- გასცეს შეკეთების ნებართვა
- პრობლემურ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება
- სტრესულ სიტუაციაში პრობლემის გადაჭრის გზების შერჩევა
- კრიტიკულ სიტუაციებში პრობლემის გადასაწყვეტი გზების შერჩევა
- ფორსმაჟორულ სიტუაციებში სქემების მომზადება
- მოსაგვარებელი პრობლემისთვის, სირთულის მიხედვით, პრივილეგიის მინიჭება
- ინფორმაციის დაფიქსირება /გადაცემა
- შესაძლო პრობლემის პრევენცია
- სწრაფი გადაწყვეტილების მიღება
- რეჟიმული პარამეტრების დარეგულირება
- ცვლილებების შეტანა სქემებში რეჟიმული პარამეტრების გათვალისწინებით
- საკომუტაციო აპარატის დანიშნულების განმარტება
- ფიქსირებული სქემების გაანალიზება
- პირველადი კომუტაციის სქემების შესაბამისობის განსაზღვრა ფიქსირებულ სქემებთან

		<ul style="list-style-type: none"> • საკომუტაციო აპარატების დანიშნულება • ფიქსირებული სქემები • საკომუტაციო სქემების ფიქსირებულ სქემებთან შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდები. 	
3.	<p>ელექტრული ქსელის ოპერატიულ - დისპეჩერული მართვა</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • გადართვის წარმოების თანმიმდევრობა • მოწყობილობების ექსპლუატაციის და უსაფრთხოების ნორმები • ექსტრემალურ სიტუაციებში მოქმედების წესები • სადგურში ძაბვის მიღების წესი • სადგურიდან ძაბვის გაშვების მეთოდები • ოპერატიული ჟურნალის მნიშვნელობა • ოპერატიული ჟურნალის წარმოების წესი • ჟურნალში შეტანილი ინფორმაციის კონტროლის მექანიზმები • დანადგარების მუშაობის რეჟიმი • დანადგარში შემავალი მოწყობილობების ნორმალური პარამეტრები • დანადგარების მოწყობის პრინციპები • საკონტროლო ხელსაწყოების მოხმარების წესები • ელექტროდანადგარები და მათი ტექნიკური მომსახურების წესი • დანადგარების დაზიანების სახეები • ელექტროდანადგარების და ელექტრომოწყობილობების ექსპლუატაციაში შეყვანის წესები • ენერგოდანადგარის ექსპლუატაციის აკრძალვის შემთხვევები • გადართვის ინსტრუქცია 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • გადართვების წარმოება თანმიმდევრობის დაცვით • მოწყობილობების ექსპლუატაციის ნორმების დაცვა • უსაფრთხოების ნორმების დაცვა • სერვისცენტრიდან ინფორმაციის მიღება • ექსტრემალურ სიტუაციებში მოქმედება • ოპერატიული ჟურნალის მნიშვნელობის განსაზღვრა • ოპერატიული ჟურნალის წარმოება • ჟურნალში დაწვრილებითი ჩანაწერების (ავარიის წარმოშობის, მიმდინარეობის, ლიკვიდაციის, დანადგარის დაზიანების, სარელეო დაცვის, ავტომატიკის და ჰაერის წნევის მაჩვენებელი აპარატურის მოქმედების და გადართვების შესახებ) გაკეთება • ჟურნალში ჩანაწერების კონტროლი • ექსპლუატაციის დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვა • ელექტროდანადგარების მოწყობის წესების დაცვა • დანადგარის მუშაობის რეჟიმის ანალიზი • ხელსაწყოებზე ჩვენებების ამოკითხვა • ელექტროდანადგარებთან და მოწყობილობებთან დაკავშირებული თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენება

		<ul style="list-style-type: none"> • მონიტორინგის წარმოების წესები • საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები • მონიტორინგის წარმოების მეთოდები • ქსელში არსებული ელექტროსადგურების მახასიათებლები • ელექტროსადგურის გამანაწილებელი მოწყობილობების მახასიათებლები, დანიშნულება და მუშაობის პრინციპი • ელექტროსადგურის მუშაობის სპეციფიკა • ოპერატიული მოლაპარაკების წარმოების გზები და მეთოდები • ოპერატიულ მოლაპარაკებაზე პასუხისმგებელი პირების ვინაობა • ოპერატიულ მოლაპარაკებაზე პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობები 	<ul style="list-style-type: none"> • ელექტროდანადგარების და ელექტრომოწყობილობების ექსპლუატაციაში შეყვანა • შესრულებული საქმიანობის ხარისხის შემოწმება • წინასწარ დასახული შედეგის საბოლოო რეზულტატთან შედარება • მონიტორინგის წარმოება • მონიტორინგის შედეგების წარმოდგენა • ელექტროსადგურის დანიშნულების განსაზღვრა • ქსელში არსებული ელექტროსადგურების მონიტორინგი • ქსელში არსებული ელექტროსადგურების მონიტორინგის შედეგების დანიშნულებისამებრ წარმოდგენა • ინფორმაციის დაფიქსირება და გადაცემა • ოპერატიული მოლაპარაკების წარმოება • სიის მიხედვით საჭირო ადამიანებთან დაკავშირება
4.	<p>ძაბვის პარამეტრების დაცვა</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მაღალი/დაბალი ძაბვის დასაშვები პარამეტრები • მაღალი/დაბალი ძაბვის დარეგულირების ხერხები • რეაქტიული სიმძლავრის რეგულირების წესები(სადგურებში) • ძალოვან ტრანსიმატორების ანცაპების (ძაბვის საფეხურების) რეგულირების მეთოდები • შესაბამისი ტერმინოლოგია • ქსელის პარამეტრები • ქსელში არსებული სუსტი წერტილები • ქსელის არსებული პარამეტრების მოსალოდნელი მაქსიმალური ცვლილებები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მაღალი ძაბვის დასაშვები პარამეტრების განსაზღვრა • დაბალი ძაბვის დასაშვები პარამეტრების განსაზღვრა • სიმძლავრის დარეგულირება • ძაბვის პარამეტრების კონტროლი • ძაბვის პარამეტრების მართვა • გავლილი პერიოდის ჩანაწერების შემოწმება • მოსალოდნელი დატვირთვების გათვალისწინებით სქემის მომზადება • დატვირთვის პარამეტრების შემოწმება • ჰიდროელექტროსადგურებში გენერაციის დარეგულირება • შეუძლია ინფორმაციის მიწოდება

		<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის მიწოდების გზები და საშუალებები • საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების წესი • ინფორმაციის მიმღები ადრესატები • რეჟიმული პარამეტრების შეფასების წესები • საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების გზები • მონიტორინგის ინდიკატორები • ოპერატიულ ჟურნალში შესატანი ინფორმაციის მნიშვნელობა • პარამეტრების ცვლილებისას ინფორმაციის ჟურნალში დაფიქსირების გზები 	<ul style="list-style-type: none"> • საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება • ინფორმაციის მიმღები ადრესატების ვინაობის დადგენა • შესაბამის სამსახურებისთვის ინფორმაციის მიწოდება • შესრულებული საქმიანობის შესრულების ხარისხის შემოწმება • წინასწარ დასახული შედეგის საბოლოო რეზულტატთან შედარება • ძაბვის პარამეტრების მონიტორინგის წარმოება • მონიტორინგის შედეგების წარმოდგენა • მათემატიკური ანგარიში • დეტალებზე კონცენტრირება • ოპერატიული ჟურნალის შევსება • ახალი ინფორმაციის ცვლილების ადეკვატური ასახვა ჟურნალში • ჩვენებების შედარება • ჩანაწერების შედეგების გაანალიზება
5.	ტესტირების ჩატარება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • სქემის ტესტირების არსი • პროგრამის მიხედვით ტესტირებისათვის სქემის მომზადების წესი (სქემის ჩართვა და გამორთვა) • სადგურში ძაბვის მიღების წესი • სადგურიდან ძაბვის გაშვების მეთოდები • ელექტროგადამცემი ხაზების პარამეტრები და დანიშნულება • პროგრამის შესაბამისად განსახორციელებელი ოპერაციების თანმიმდევრობა • ტესტირების დროს ტვირთების დამატების მეთოდები • ტესტირებამდე ფიქსირებული სქემის სტრუქტურა • ხაზების ფიქსირებულ სქემაზე დაბრუნების მეთოდები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტესტირებისთვის სქემების მომზადება • სქემის ჩართვა • სქემის გამორთვა • სადგურში ძაბვის მიღება • სისტემაში ძაბვის გაშვება • პროგრამის შესაბამისად ოპერაციების განხორციელება • ტესტირების დროს ტვირთების დამატება • სადგურის 0-დან გაშვება • ფიქსირებული სქემის სტრუქტურის განსაზღვრა • ელექტროგადამცემ ხაზებზე გადართვების გაკეთება • ტესტირების შემდეგ ხაზების დაბრუნება ფიქსირებულ სქემაზე • ელექტრომომწყობილობების ტესტირების რეჟიმის დაგეგმვა

		<ul style="list-style-type: none"> • სადგურებში/ ქვესადგურებში ელექტრომომწობილობების მახასიათებლები • ელექტრომომწობილობების ექსპლუატაციის წესები ტესტირების რეჟიმში • ელექტროტექნიკური მასალის ძირითადი მახასიათებლები • ხელსაწყოების, ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენების წესები • ელექტროდანადგარების მოწყობის წესები • სავალდებულო დოკუმენტაციის წარმოების წესი • სატესტო სამუშაოების ოპერატიული ჟურნალში დაფიქსირების მნიშვნელობა • ოპერატიული ჟურნალის წარმოების წესი 	<ul style="list-style-type: none"> • ელექტრომომწობილობების ტესტირება სადგურებში/ქვესადგურებში • ელექტრომომწობილობების უსაფრთხოდ შემოწმება • ხელსაწყოების, ინსტრუმენტების და სამარჯვების გამოყენება • ოპერატიული ჟურნალის შევსება • ჩანაწერის ორგანიზება • ჟურნალში ცვლილებების დაფიქსირება
6.	უსაფრთხოების ნორმების დაცვა	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • შრომის უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ზოგადი წესები • ელექტროუსაფრთხოების წესები • ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მარეგულირებელი ნორმები • ხანძარქრობის ოპერატიული გეგმის დანიშნულება • საევაკუაციო გეგმაზე დატანილი ნიშნების მნიშვნელობა • ხანძრის გაჩენის მიზეზები • პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები • ორგანიზმზე ელექტრული დენის ზემოქმედების ხარისხის განსაზღვრა • ელექტროტრავმი სსახეები • (მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული; დაბალი ძაბვის დენით გამოწვეული; მეხით გამოწვეული) 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის შესაბამისად მოქმედება • საკუთარი და სხვისი უსაფრთხოების დაცვა • უსაფრთხოების აღმნიშვნელი ნიშნების მიხედვით მოქმედება • მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების გზების შემუშავება • ინფორმაციის გადაცემა • ხანძარქრობის ოპერატიული გეგმის მიხედვით მოქმედება • ხანძარქრობი საშუალებების გამოყენება • საევაკუაციო გეგმის წაკითხვა • პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საჭიროების განსაზღვრა • მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა

- ელექტროდენისაგან დაზარალებულის გათავისუფლების წესი
- პროფესიული ეთიკის ნორმები
- ზემდგომთან და კოლეგებთან ურთიერთობის ნორმები
- გუნდური მუშაობის წესები
- შრომის უსაფრთხოების ნორმები
- სამუშაოს უსაფრთხოდ ორგანიზების ღონისძიებები
- ელექტროდანადგარების და მოწყობილობების უსაფრთხო და საიმედო მუშაობის პრინციპები
- სამუშაო ინსტრუქტაჟის დანიშნულება
- უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის მნიშვნელობა
- ინსტრუქტაჟის მნიშვნელობა სახანძრო უსაფრთხოებისათვის
- სანიტარული ნორმები
- ჰიგიენური ნორმები
- სამუშაო ადგილის გაწმენდის მნიშვნელობა

- დაბალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრამვის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა
- მეხით გამოწვეული ელექტროტრამვის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა
- გუნდური მუშაობა
- პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით მოქმედება
- ამა თუ იმ ქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზება
- სხვადასხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით სწორი გადაწყვეტილების მიღება
- სამუშაოების მსვლელობისას უსაფრთხოების წესების გაკონტროლება
- მომუშავეთა უსაფრთხოდ მუშაობისათვის პირობების უზრუნველყოფა
- მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების გზების შემუშავება
- დანადგარზე ავარიული სიტუაციის აღმოჩენის შემთხვევაში სწრაფი რეაგირება
- ორგანიზაციის საწარმოს ნორმების დაცვა;
- მუშაობის პროცესში საწარმოს შინაგანაწესის დაცვა
- თავის საქმიანობაში შრომის უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გამოყენება
- უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა
- სანიტარული ნორმების დაცვა
- ჰიგიენური ნორმების დაცვა
- სამუშაო ადგილის გაწმენდა

7.	<p>პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> პროფესიული განვითარების შესაძლებლობები საკუთარი ცოდნის და უნარების შეფასების მეთოდები არსებული მოთხოვნები პროფესიის მიმართ თანამედროვე ტენდენციები პროფესიულ ასპექტში პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ეტაპები, მიმართულებები და შესაძლებლობები (რესურსები/ცენტრები/ასოციაციები/დისტანციური სწავლების გზები) ინფორმაციის მოძიების გზები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდები ინტერნეტის საძიებო სისტემები პროფესიული სიახლეების ამსახველი პერიოდული გამოცემები (ჟურნალ-გაზეთები და სამეცნიერო კვლევები) და მათ შესახებ ინფორმაციის მოძიების გზები თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები (კომპიუტერული პროგრამები, საძიებო არხები) პროფესიაში სიახლეების დაუფლების საშუალებები (ტრენინგ-კურსები, სემინარები და სხვ.) პროფესიული ტრენინგის სემინარის მნიშვნელობა პროფესიული განვითარებისათვის 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> საკუთარი ცოდნის შეფასება საკუთარი პროფესიული უნარების ობიექტური შეფასება საკუთარი კომპეტენციის ობიექტურად განსაზღვრა საკუთარი პროფესიული ზრდის საჭიროების განსაზღვრა დარგში/პროფესიაში მიმდინარე სიახლეების იდენტიფიცირება; დარგის/პროფესიის განვითარების მიმართულების შესაბამისად საკუთარი პროფესიული ზრდის დაგეგმვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიაში ახალი ტექნოლოგიების მოძიება, გაცნობა და გააზრება მიღებული სიახლის გაზიარება პროფესიული ლიტერატურის ანალიზი სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ინფორმაციის მისაღებად ინფორმაციის გაგება, გააზრება და საჭიროებისამებრ გამოყენება ტრენინგებსა და პრაქტიკულ სემინარებში, დისტანციური სწავლების პროგრამებში მონაწილეობა პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით საკუთარი მონაწილეობა სხვადასხვა პროფესიულ აქტივობაში (გამოფენა/ვორქშოფი/კონფერენცია)
----	--	---	---

13. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1.	ალინა კუპრავა	სსიპ-„განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“, განათლების ფასილიტატორი
2.	ლილი ოყროშიძე	სსიპ-„განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“, დარგის ფასილიტატორი
3.	თეიმურაზ რუსიშვილი	სს-„ენერგო-პრო ჯორჯია“, უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი
4.	თეაგოგიჩაიშვილი	სს-„ენერგო-პრო ჯორჯია“, ტრენინგებისა და განვითარების მენეჯერი
5.	დავითგზირიშვილი	მცხეთის რეგიონის დისპეტჩერი
6.	კახამახარაძე	მცხეთის რეგიონის დისპეტჩერი
7.	გიორგიბაწელაშვილი	სს-„ენერგო-პრო ჯორჯია“, დისპეტჩერი
8.	გიორგიჭყონია	სს-„ენერგო-პრო ჯორჯია“, დისპეტჩერი
9.	გრიგოლმელქაძე	სს-„ენერგო-პრო ჯორჯია“, ანალიტიკოსი
10.	რამაზჯაფარიძე	სს-„ენერგო-პრო ჯორჯია“, ანალიტიკოსი
11.	ალექსანდრე ჩოხელი	დარგობრივი პროფესიული კავშირის იურისტი
12.	ვახტანგგედევანიშვილი	საქართველოს ელექტრო სისტემის ალფა ცენტრის მთავარი ინჟინერი
13.	ალექსანდრეოჩიაშვილი	სს-„ენერგო-პრო ჯორჯია“, მცხეთის ს/ც ოსტატი

დასახელება: ელექტრომომარაგების დისპეტჩერი

შეფასების სტანდარტი

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შემენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებსა და ამოცანებში;
2. შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;
4. გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

- ა) ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) სამიხედო კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად:

ა) დასაშვებია მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია სამიხედო კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.

ბ) თავსებადობის დადგენისთვის, შინაარსობრივი შესწავლის მიზნით, ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ამღიარებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით, აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლის/რომელთა ერთობლიობაც, შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით, შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

ნაწილი 2. მითითებები შესაფასებელი პირის ადა შემფასებლისათვის

შეფასების დაწყებამდე გაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს
- შეფასების ინსტრუმენტებს
- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს
- შეფასების პირობებს
- შეფასების წესებს
- შეფასების კრიტერიუმებს

შეფასების პროცესში:

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებლისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია, შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თითოეული კრიტერიუმი

შეფასების დასრულებისას:

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

ნაწილი 3. შეფასების პროცედურა

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები, შეფასების სტანდარტის ნაწილი 1-ის „შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება“ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

ნაწილი 4. თეორიული გამოკითხვის და პრაქტიკული /დავალებების თემატიკა

გამოკითხვა

გამოკითხვის ფორმა:

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით;
- ტესტი უნდა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს.

გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:

არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება;

მოპოვებული მტკიცებულებები

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით/შესრულებული ტესტით ან/და პრაქტიკული დავალების დროს დამატებით, დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხებით.

თეორიული საგამოცდო თემატიკა:

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
 - ა) ოპერატიული სქემების, აღრიცხვისა და ანგარიშების ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავების მეთოდები;
 - ბ) ავარიის დროს სქემის მომზადების სპეციფიკა;
 - გ) დაბალი და მაღალი ძაბვის დასაშვები პარამეტრები;
 - დ) მომუშავეთა უსაფრთხოდ მუშაობისათვის პირობების უზრუნველყოფა.

სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 5. პრაქტიკული დავალების/დავალებები შესრულების/შეფასების კრიტერიუმების მითითებებით:

პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება.

საგამოცდო გარემო:

შესაფასებელი პირის შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებების სახით.

საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:

საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები (ნეიტრალური კომისია) წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

მოპოვებული მტკიცებულებები:

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმით.

საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:

დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად სტუდენტმა უნდა შეასრულოს დავალება:
რომლებიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ა) ობიექტის შესახებ ინფორმაციის დამუშავება;
- ბ) ავარიის დროს სქემების მომზადება;
- გ) მაღალი/დაბალი ძაბვის დროს პარამეტრების მართვა;
- დ) ოპერატიული პერსონალის უსაფრთხოდ მუშაობის უზრუნველყოფა.

გაითვალისწინეთ:

1. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოებისას ეკონომიური, ხარისხის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, სამართლებრივი, უსაფრთხოების წესების დაცვის, ჰიგიენის დაცვის მიდგომების, სამუშაოს შესრულების თანამიმდევრობის შეფასება წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდევ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული;
2. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროებისამებრ მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები;
3. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია

შემფასებლის ჩანაწერების ფორმები

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

დადასტურებული კომპეტენცია	მტკიცებულებები		
	ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	გამოცდა (დანართი N)

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი:

დადასტურება:

